# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888



გაზეთის ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ნიდველის სტამბეთს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


ტფილისი, 23 ოქტომბერი

თუმცა ყველგან და ყოველის მხრით იძახიან, რომ მშვიდობა და მორიგება ჩამოვარდა ევროპაში, მაგრამ ევროპას მაინც გული გულის ადგილას ვერ დაუყენებია და დღესა ჰკრთის ხვალინდელის დღის შიშითა. ან როგორ დაიმშვიდოს გული, როცა ჰხედავს, რომ საფრანგეთი თითქმის ერთს მილიარდს ფულს ითხოვს ჯარების გაძლიერებისათვის, რამდენსამე მილიონს ავსტრია და ეგრედვე სხვანიცა. მშვიდობაო, მშვიდობა და ყველას კი მუქარით ხელი ხმალზედ უკიდია და შინიდამ გარედ გამოიყურებიან, აცა უეცრად თავზედ არავინ დაგვესხასო.

თუმცა დღეს ყველანი ამ ყოფაში არიან, მაგრამ დღეს არც ერთი იმისთანა დიდი სახელმწიფო არ არის ევროპაში, რომ, გარედამ შიშის გარდა, შინაური დიდი ტკივილიც არ აწუხებდეს. ავსტრია დიდს საფიქრებელშია ეხლა ჩეხების საქმისა გამო და ჰქადის ეს ორ-თავიანი სახელმწიფო სამ-თავა სახელმწიფოდ გადიქცეს. ეს ამბავი ავსტრიისათვის დიდი საგონებელია და მერმისი ავსტრიისა იქნება ამ ჩეხების საქმის ასე თუ ისე დაბოლოვებაზედ უფრო იყოს დამოკიდებული, ვიდრე რომელისამე ძლიერის მტერის დამარცხებაზედ. გერმანიაში ატეხილია გარდაქმნა, ანუ უკედ ვსთქვათ, შეკეთება კონსტიტუციისა იმ მხრით, რომ პასუხ-უგებელ სამინისტროს მაგიერ პასუხის-მგებელი საიმპერიო სამინისტრო დაფუძნებული იქმნას და მით ერის წარმომადგენლობას, რომელსაც ეკუთვნის განკითხვა მინისტრებისა, ღონე ზედ-მოქმედებისა გაუძლიერდეს საშინაო თუ საგარეო საქმეთა მსვლელობაზედ. ინგლისია და ირლანდიის საქმე ჯერ გაუთავებელი აქვს და ესეც იმოდენად დიდი საქმეა, რომ მისი ასე თუ ისე გათავება შემძლებელია ინგლისის ერის ბედზედ დიდი და ძლიერი გავლენა იქონიოს. იტალია კიდევ დღევანდლამდე ზედ გადაგებულია იმაზედ, რომ საერო მთლობელობას იტალიის ხელმწიფისას აღარ ეტანებოდეს და ირემებდეს საეკკლესიო უფლება რომის პაპისა, რომელსაც დღესაც ვერ შეუწყნარებია იტალიის გაერთიანება და რომის ქალაქის დაპყრობა და გადაქცევა გაერთიანებულის იტალიის სატახტო ქალაქად.

ხოლო ყველაზედ მწვავე შინაური საქმე საფრანგეთსა აქვს და ყველაზედ დიდს განსაცდელშიაც არის დღეს ამის გამო ეს ქვეყანა. ეს განსაცდელი მით უფრო საყურადღებოა, რომ, ჩვენის ფიქრით, შემძლებელია ზედ-მოქმედება იქონიოს მთელის ევროპის საერთო პოლიტიკაზედ. საქმე ის არის, რომ მთავარ-მინისტრმა საფრანგეთისამ ბ-ნმა ფლოკემ შეიტანა, საცა ჯერ არს, პროექტი კონსტიტუციის ხელ-ახლად გადასინჯვისა. ამის გამო დღეს მთელი საფრანგეთი ფეხზედ დადგა და გაცხარებული ლაპარაკობს. ზოგი ჰოს ამბობს ამ გადასინჯვაზედ, ზოგი არას,—და არის ერთი საშინელი ბაასი და კამათობა მომხრეთა და არა-მომხრეთა შორის. ხმა ისმის, ვითომც თვითონ პრეზიდენტს რესპუბლიკისას სადი-კარნოს ჭკუაში არ მოსდის ეს გადასინჯვაო და დღესაც ცოტა არ იყოს ამ გადასინჯვას ეურჩებაო.

ჩვენ არ გამოვუდგებით იმის ჩამოთვლას თუ—რით არის მოსაწონი ეს პროექტი ფლოკესი და რით—დასაწუნი. ამას პროექტში შიგ ჩახედვა უნდა და ჩვენ საგნად დღეს ეს არა გვაქვს. ჩვენ მარტო იმ ამბავს მივაქცევთ ყურადღებას, რომელიც დღეს გულ-წრფელ მოყვარეებს საფრანგეთისას ორ დიდ ბანაკად ჰყოფს ეს გადასინჯვის საქმე. სხვანი-კი ამ საქმეში მარტო წყალის ამღვრევას მოელიან თავიანთ ბადეების სასროლად, რომ პირი ჩაიმტკბარუნონ დაჭერილის თევზითა.

იგი ნაწილი საფრანგეთისა, რომელიც დღეს გულ-წრფელად ეურჩება ამ გადასინჯვის საქმეს, იძახის, რომ ეგ საქმე თუმცა სასურველია, მაგრამ მაგისი დრო არ არის ეხლა, როცა სხვა-და-სხვა დასთა შორის ასეთი გამწარებული და გაწიწმატებული მტრობა და შუღლიაო. უეჭველია, ეგ გადასინჯვის საქმე მოითხოვს მოწვევას დამფუძნებელის კრებულისას. ამ კრებულზედ მტერნი რესპუბლიკისანი—ბონაპარტისტები და მონარქისტები—შემთხვევას არ დაჰკარგვენ არ ჩამოაგდონ სიტყვა მაზედ თუ—იყოს რესპუბლიკა კვლავაც, თუ რესპუბლიკის მაგიერ მონარქია დაიფუძნოსო. არავინ იცისო დასთა ოსტატური ხერხი და ხერხიანი ოსტატობა რა პასუხს ათქმევინებს კრებულსაო. საარვინიცოდ რად გავიხადოთ უკვე დალაგებული და ჩვენ მიერ ერთხელ შეწყნარებული არსებობა რესპუბლიკისაო? თუნდ ეგეც არ იყოს, ვინ გვითავდებებს, რომ რაკი საქმე ამ მძიმე საკითხავზედ მივარდება, ერთი საშინელი არევ-დარევა ერთმანეთში არ მოჰხდეს, როცა კრებული თავისს ჰოს, ანუ არას იტყვის? რესპუბლიკელნი ხომ უსისხლოდ არ გასწირავენ რესპუბლიკას და მონარქიელებს არ დაულოცვენო და არც მონარქიელნი, კამათობით და უარის თქმით გამწარებულნი, უჩხუბარად ჩამოეცლებიან რესპუბლიკელებს გზიდამაო. განა ეხლა იმისთანა დრო არის, რომ საამისოდ საქმე გავიხადოთო? გარედ მტრის მუქარას ძლივს ვუძლებთ და განა ჭკუა იქნება შინაც ერთმანეთში შფოთი ავიტეხოთო?

ამ შფოთისა და ამბოხის ატეხის შიშით თვითონ გადასინჯვის მოთავე ფლოკე იმ აზრისაა, რომ ამ საქმეში დამფუძნებელ კრებულს მოწვევა არ უნდაო. ეს საქმე ექვემდებარება მარტო კონგრესსა, რომელიც შესდგება პალატისა და სენატისაგანაო. ამაზედ პასუხად ეუბნებიან, რომ ვინიცობაა თვითონ კონგრესზედ ჩამოვარდეს ლაპარაკი დამფუძნებელ კრებულის მოწვევის თაობაზედ, მაშინ რაღა ვუშველოთ საქმესაო? ეგ არ შეიძლებაო, ამბობს თურმე ფლოკე. რასაკვირველია, „არ შეიძლებაო“ თქმა დიდი საბუთი არ არის იმისთანა თვით ნება ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, მით უფრო, რომ დამფუძნებელ კრებულის მოწვევას მხარს აძლევენ რადიკალები კლე-

# ფელეტონი

## მოლა მასრადინა

მოლა მასრადინზე, ანუ ნასრედინზე ხალხში დაშთენილა მრავალი გადმოცემა და იგავი. თუმცა თვითონ მასრადინი მასხრად, სულელად ეჩვენებოდა ხალხს, მაგრამ ამბობენ, რომ ფრიად განათლებული და ბრძენი კაცი იყოო. რამდენად მართალია ეს თქმულება, ღმერთმა უწყის. მოლა მასრადინას აე-კარგიანობა ცხადად გამოიხატვის იგავებით, რომელსაც მრავლად მოგვითხრობენ ინგილოები, ლეკები, თათრები და საზოგადოდ საქართველოს მკვიდრნი.

წელს, საინგილოში მგზავრობის დროს, ჩვენ შევკრიბეთ რამდენიმე გადმოცემა ამ ფრიად თავისებურს კაცზე. ამ გადმოცემიდგან, სხვათა შორის, ვტყობულობთ ზოგიერთს ცნობას მოლა მასრადინას სამშობლოს შესახებ. იგავებში მასრადინა ჰმოქმედებს, მოგზაურობს, ან ვაჭრობს აღმოსავლეთ დაღისტანში. მაგალითებრ იგი რამდენჯერმე მიდის დარუბანდს, რომლის ახლოსაც მდებარეობდა მოლას სამშობლო სოფელი და ქვეყანა. ვისი შვილი იყო, ან როდის, რამდენი ხანი სცხოვრებდა, ვერც ეს შევიტყვეთ დაბეჯითებით. აი თვით იგავები მასრადინას შესახებ, რომლის სახელიც საზოგადო სახელად გარდაიქმნა იმათთვის, ვისაც უყვართ ტყუილი, ბაქიბუქი და მასხარაობა. ამისთანა კაცს ეტყვიან ხოლმე: „აი, შე მოლა მასრადინა, შენა!“

### მასრადინა და ეშმაკი

ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოლა მასრადინას ვერავინ მოატყუებსო. მაცდურმა ეშმაკმა თავი გამოიდო, მე მოვატყუებ მასრადინასაო. სატანა გაეშურა მოლას სახლისაკენ. მასრადინამ დაინახა—რა მომავალი მაცდური, მიხვდა იმისს განზრახვას, მიირბინა კლდესთან, რომელიც იქვე მის სახლს მაღლიდგან დაჰყურებდა და მიებჯინა მხრებით.

ეშმაკი მივიდა და ეუბნება:

—მასრადინ, მე შენ შესაცდენად მოვედი. თუ გსურს, გავიჯიბრნეთ, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

—ხომ ჰხედავ, ეხლა მე არა მცალიან. ამას გარდა ჩემი ტომარაც აქ არა მაქვს, უიმისოდ კი მე გაჯიბრება არ შემიძლიან. თუ კი ძლიერ გსურს გაჯიბრება, მიეყუდე ამ კლდეს, მინამ წავალ და ტომარას მოვიტან,—უთხრა ეშმაკს მასრადინამ.

—კლდეს რა მიყუდება უნდა!

—ისა, რომ თუ არ მიეყუდეთ, ჩამოვარდება და სახლს დამინგრევს.

სატანა დასთანხმდა და მჭიდროდ მიებჯინა კლდეს. მოლა მასრადინა წავიდა შინ. სატანამ იფიქრა: „ის არა სჯობია, რომ კლდეს გამოვეცალო, ჩამოწვება და დაანგრევს მოლას სახლსაო. ამითვე მოლა დაძლეული და მოტყუებული იქმნება, რადგან კლდის დაჭერას დავპირდი და ახლა-კი გავეცლებიო. გამოეცალა, მაგრამ კლდე არ ჩამოწვა.

—მოტყუებული და დაძლეული ხარ, სატანავ, უთხრა მასრადინამ. ათასი წელიწადია, ეგ კლდე მანდა ჰკიდია და არ დაგორებულა.

—

მასრადინა გამარჯვებული და მხიარული წავიდა სალაყბოზედ. აქ ბევრი ხალხი იყო და ულოცავდნენ გამარჯვებას. ეშმაკიც მივიდა მათთან.

მასრადინამ დაცინვით უთხრა ეშმაკსა:

— შე საწყალო, შენა, ჩემთან გაჯიბრება როგორ შეგეძლიან! ყმაწვილიც კი გაჯობებს. გნებავს, მდინარეზედ ისე წაგიყვანო და მოგიყვანო, რომ წყალიც კი არ დაგალევინო!

—სცადეო, უთხრა ეშმაკმა.

წავიდნენ. მივიდნენ მდინარეზე. მოლამ მიიხედა ხალხისაკენ და გაკვირვებით უთხრა ეშმაკსა:

—რა იქმნენ მოწმები?

—რომელი მოწმები?

—როგორ, თუ რომელი მოწმები! უმოწმებოდ როგორ იქნება. ვინ გვიმოწმებს, რომ შენ მართლა წყალი დალიე. შენ იტყვი დავლიეო, მე ვიტყვი, არაო. აქედგან არა გამოვა-რა.

— მაშ წავიდეთ, მოწმები მოვიყვანოთ!

მივიდნენ სალაყბოზე. მასრადინამ დაიძახა:

— ეშმაკო, მდინარესთან ვიყავით?

— დიაღ!

— წყალი დალიე?

— არა!

— მაშ დაძლეული ხარ!

### მასრადინა და ქურდები

ბნელი ღამე იყო. მოლას თავისს სახლში ტახტზე ეძინა. ქურდებმა გამოუნგრიეს სახლის კედელი და შეიპარნენ. მოლამ ეს გაიგო, მაგრამ სული გაიტრუნა და ხმა არ ამოიღო. ქურდებმა ყოველივე მოხვეტეს რაცკი რამ მოლას ებადა და სახლიდამ გამოპარვას აპირებდნენ. ამ დროს მოლა ტახტიდამ გადმოგორდა და ძირს იატაკზე დაეცა. ქურდები გაქცევას აპირებდნენ, მაგრამ ნახეს, რომ სახლის პატრონი ხმას არ იღებდა და იფიქრეს, სძინავსო. წაიღნენ, ქვეშაგებიც აიღეს და გაიპარნენ. ქურდები შეიდანზე მიდიოდნენ. მოიხედეს, ნახეს ვიღაცა კაცი მოსდევთ. მიაძახეს:

ვინა ხარ? ან სად მიდიხარო?

— მე ვარ მაგ ნივთების პატრონი, მიუგო მასრადინამ. სად მიდიხარ?! მუშებს ჩემი ბარგი სხვა სადგურზედ გადაგაქვთ და მეც თქვენ მოგდევთ. სად არის ახალი ჩემი სადგური, ჰა!

ქურდებს შეეშინდათ, ნივთები იქვე დაჰყარეს და გაიქცნენ.

### მასრადინა და ნალი

მასრადინამ ცხენის ნალი იპოვნა, ძლიერ გაუხარდა, სთქვა: სამსაც ვიპოვნი, ცხენს ვიყიდი, დავაჭედინებ და ქაბას წავალ, მოვილოცავო.

— შენ რომ ქაბიდგან დაბრუნდები, უთხრა ცოლმა, მეც შევჯდები ცხენზე და დედაანთსა წავალო.

— აი, შე უბედურო დიაცო, შენა, ცოდო არ არის მაშვრალი ცხენი, შეჯდე და შეაწუხო! დაუწყო მასრადინამ ყვედრება ცოლსა და ერთი-ორი მუჯლუგუნიც წაჰკრა.

### ქვაბი

მეზობლისაგან მასრადინამ ქვაბი ითხოვა. და მოიხმარა. შემდეგ გარეცხა სუფთად, შიგ სხვა პატარა ქვაბიც ჩასდო, მიაწოდა მეზობელს და თანაც მადლობა გადაუხადა.

— მოლა, შენ ხო ერთი ქვაბი გამოგვართვი, ეს მეორე ქვაბი რაღად მოგიტანიაო? უთხრა მეზობელმა.

— როგორ რაღად! შენმა ქვაბმა ჩემთან მყოფობის დროს მოიგო ეგ ქვაბი და შენ გეკუთნისო, უპასუხა მეზობელს მასრადინამ.

გაუხარდა მეზობელს და გამოართვა.

მეორედაც მოლამ იმავე მეზობლისაგან ისევ ქვაბი ითხოვა და ახლა-კი აღარ დაუბრუნა. უცადა, უცადა პატრონმა, ნახა, რომ მოლას ქვაბი აღარ მოაქვს, მივიდა თითონ და ჰკითხა: მოლა, ჩვენი ქვაბი რა უყავიო?

— თქვენმა ქვაბმა, მეგობარო, თქვენი ჭირი წაიღო, გარდაიცვალა.

— რას ამბობ, კაცო, ქვაბი როგორ გარდაიცვალა.

— თუ შვილს მოიგებდა, გარდაცვლას რაღა დაუშლიდაო,—უპასუხა მოლამ.

### ვირი.

მოლას კარგი ყულაჲი ვირი ჰყავნდა. ერთი კაცი მივიდა და შეეხვეწა:

— მოლა, ვირი მათხოვე, წისქვილში ხორბალი მაქვს წასაღებიო.

— შინ არა მყავსო, მიუგო მოლამ.

გამოეთხოვა ის კაცი მოლასა და წავიდა. ჯერ ორღობეც არ გაევლო, რომ ვირმა ძლიერად დაიყროყინა.

— აკი ვირი შინ არა მყავსო, დაუყვედრა მოლას მთხოვნელმა.

მანსოს წინამძღოლობით და კლემანსო ხომ თავისის დასით ძალიან გავლენიანი და შემძლებელი კაცია დღეს საფრანგეთში.

ესენი იძახიან, რომ დამფუძნებელ კრებულის მოწვევას არაფერი შიში არ მოსდევსო, რადგანაც კრებული მოწვეულ იქმნება მარტო კონსტიტუციის გადასასინჯავად და არა იმისათვის, რომ საფრანგეთს ფორმა მართველობისა და გამგეობისა შეუცვალოსო. რა კი ერი კრებულისათვის ამოირჩევს კაცებს და მიანდობს მარტო კონსტიტუციის გადასინჯვის საქმეს, კრებულს რა უფლება და ნება ექმნება დავალებულ საქმეს გვერდი აუქციოს და არ-მინდობილს ხელი ჩასჭიდოსო. რა თქმა უნდა, არც ამისთანა იმედია უეჭველი საბუთი, რომ ზემო აღნიშნული შიში გაუქარდეს საფრანგეთსა. საფრანგეთს განა ერთი და ორი მაგალითი ჰქონია თვალ-წინ, რომ მინდობილს კაცს, თუ კრებულს არა-მინდობილი დაუჩემებია, თვითნებობა გამოუჩენია და საქმე თავის ნებაზედ წაუყვანია.

ესეა, თუ ისე, დღევანდელი დღე დიდი და მძიმე დღეა საფრანგეთისათვის. იგი საფრანგეთს საგარეო საქმეთათვის იმოდენად უღონოდა ჰხდის, რომ დღეს საფრანგეთი ერთს გარიყულსა და წრის გარედ დარჩენილს სახელმწიფოსა ჰგავს. რა თქმა უნდა, ეს გადასინჯვის საქმე, ამ უდროო დროს ბულანჟესაგან ატეხილი, რაკი ასტყდა, უნდა როგორმე გათავდეს კიდეც. ხოლო საფრანგეთის მტრები სიხარულით ხელებს იფშვნეტენ, იმიტომ-რომ გათავდება, თუ გაგძელდება ეს გადასინჯვის საქმე, შინაური შფოთი მრავალ გვარ დასთა შორის საფრანგეთს მოსვენებას არ მისცემს, საგარეო საქმეთათვის დააუძლურებს და გერმანიას ამაზედ მეტი სხვა არა უნდა-რა. ეს მიზეზიანი გარემოება საფრანგეთისა ორსავე წვერს საპოლიტიკო საბელისას ხელთ აძლევს უამისოდაც თავ-გაზვიადებულს გერმანიას და დღეს გერმანია, საფრანგეთისაგან ცოტად თუ ბევრად უშიშარი, რასაც მოიწადინებს, იმას იზამს. მოსაწადინებელი კიდევ გერმანიას ისა აქვს, რომ აღმოსავლეთის და ხმელთა შუა ზღვის საქმეში ავსტრიისა და იტალიის საამური ამბავი რამ მოახდინოს და მით დავალებულ და დამუნათებულ ჰყოს ერთიცა და მეორეც საშველად, თუ ვინიცობაა დრო იხელთა და საფრანგეთთან ანგარიშების გასწორება მოინდომა.

ჩვენის ფიქრით, კონსტიტუციის გადასინჯვას საფრანგეთში დღეს ეს მნიშვნელობა აქვს მთელის ევროპიის საერთო პოლიტიკისათვის. არა გვგონია, ბევრი ხანი გავიდეს და არ შევიტყოთ გაზეთებისაგან, რომ გერმანიის ფარულ მანქანებით აღმოსავლეთის საქმე აიწეწაო და ბოლგარიამ აურზაური დაიწყოვო. ჯერ ეხლავ მაკედონიაში რაღასაც ემზადებიან და ჭორადაც გაისმა, ვითომც გერმანიამ შთააგონა ოსმალეთსა, რომ დროა პრინცი კობურგელი ბოლგარიის მთავრად დამტკიცებულ იქმნასო. არც სერბიის მეფის მილანის ყოფაქცევაა ამ მხრით უმნიშვნელო: მივიდა ბელგრადში და ძალად განექორწინა თავის გვირგვინოსანს მეუღლეს ნატალიას, რომლის დედოფლობა ავსტრიას თვალში ეკლადა ჰქონდა და ავსტრიის გამო გერმანიასაც ვერაფრად მოსწონდა.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მმართებელმა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვმა ხელმწიფე იმპერატორს დეპეშა გაუგზავნა და განუცხადა კავკასიის მკვიდრთა გრძნობა მისის უდიდებულესობისა და უავგუსტოესის სახლობის მშვიდობით გადარჩენის გამო. ამ დეპეშაზე ხელმწიფე იმპერატორმა ინება და შემდეგი პასუხი მოსწერა:

„ტფილისი, გენერალ-ადიუტანტს თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს.

**გადაეცით ჩემი მადლობა ყველას იმ გრძნობისათვის, რომელიც მე განმიცხადეს ჩემისა და ჩემის სახლობის გადარჩენის გამო განსაცდელისაგან. სიამოვნება, რომელიც მე კავკასიაში გნახე, არ შეუმცირებია ამ საშინელს ამბავს.**

ალექსანდრე“

აი დეპეშა, რომელიც თავ. დონდუკოვ-კორსაკოვმა გაუგზავნა მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას:

„ყველა მოსამსახურენი და თქვენი ერთგული ერი, აღვსილნი სიხარულითა და მხურვალე მადლობით უზენაესის მიმართ თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობისა, ხელმწიფე იმპერატრიცისა და თქვენის უავგუსტოესის სახლობის სასწაულებრივ გადარჩენის გამო იმ საშინელის უბედურებისაგან, რომელიც დიდს განსაცდელს უქადიდა რუსეთს, მიუძღვნეს რა მადლობა უფალს სიონის ტაძარში, მოგიძღვნიან თქვენთა ფერხთა წინაშე საერთო მაღალ გრძნობას მთელის კავკასიისას, რომელიც თქვენ გააბედნიერეთ თქვენის მობრძანებით, და მტკიცედ სწამსთ, რომ უფალი ღმერთი მრავალ ჟამიერ ჰყოფს თქვენსა და თქვენის უავგუსტოესის სახლობის სიცოცხლეს საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ ძვირფასის სამშობლოისა, რომელიც თქვენ უზენაესმა დაგიმკვიდრათ“.

გენერალ-ადიუტანტი თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი.

*** კავკასიის მთავარ-მმართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვმა მადლობის წერილები მისწერა თავ. გიორგი დიმიტრის ძეს შერვაშიძეს, ტფილისის გუბერნიის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს, ტფილისის გუბერნიის მარშალს თავ. ივანე კონსტანტინეს ძეს ბაგრატიონ-მუხრანსკის, ტფილისის ქალაქის თავს ალექსანდრე სტეფანეს ძეს მატინოვს და მიტროფან კანანის ძეს ბოგუცკის, კავკასიის საფოსტო და სატელეგრაფო ოლქის უფროსს. ამ წერილებში თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი მადლობას უცხადებს მათ უდიდებულესობათა ჩინებულისა და სამაგალითო მიგებებისა და დახვედრისათვის.

*** 23-ს ოქტომბერს მამა დავითის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წლის წირვა განსვენებულის დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდებოდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე; თანამწირველნი იყვნენ არხიმანდრიტი მაკარი, არხიმანდრიტი ნიკოლოზი, მღვდლები: შოშიაშვილი და გრიგორიევი და რამდენიმე სხვა მღვდელიც. მგალობელნი იყვნენ სააზნაურო სკოლის მოწაფენი ბ-ნ ნ. ბერ...შვილის ლოტბარობითა და კარბე...შვილის მგალობელთა გუნდი. ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო. განსვენებულის საფლავი გვირგვინებით იყო მორთული. წირვის შემდეგ განსვენებულის საფლავზედ გადაიხადეს პანაშვიდი.

*** ღრმა-ღელეში გაცარცულ ფოცხვერა დიდებაშვილის (იხ. „ივერია № 221) ჩივილის გამო იმავე დღეს მაზრის პოლიციამ მიაგნო ავაზაკების კვალს. ავაზაკები აღმოჩნდნენ ბორჩალოს მაზრის სოფ. სალიმალექის მცხოვრებნი: მ. შახთარ-ოღლი და ფ. იანრანდა. სამაზრო პოლიციამ საქმე დაწერილებით გამოიკვლია და დამნაშავენი ტფილისის მაზრის გამომძიებელს თავ. ბარათაშვილს გადასცა.

*** როგორც გაზეთებმა გვაცნობეს ქართლ-იმერეთის სომეხთა ეპისკოპოზმა ყოვლად სამღვდელომ არისტაკეს სედრაკიანცმა მის უწმინდესობას სომეხთა კათოლიკოზს სთხოვა სამსახურიდგან დამითხოვეთო და ერთ-ერთს მონასტერში გამამწესეთო. ამ ამბავმა მეტად შეაწუხა სამწყსო, რადგანაც ყოვლად სამღვდელო არისტაკესი ღირსეული და პატივცემული მღვდელ-მთავარი იყო, რომელიც დიდს მეცადინეობას ჰხმარობდა სწავლა-განათლება გაევრცელებინა და სამრევლო სკოლები გაემრავლებინა ქალაქებსა და მეტადრე სოფლებში. ქართლ-კახეთში არც ერთი ცოტა მაინც თვალ-საჩინო სოფელი არ დარჩენია, სადაც სომხობაა, რომ

---

— აი შე მართლაც ვირო, ვირის სიტყვა გჯერა და ჩემი-კი არაო!

### პური

მასრადინამ აჩეჩით მთელი რიყე გადახნა. მერე ხორბალი დათესა და დაფარცხა.

— შენ, ოჯახ-ქორო, მანდ ხო არაფერი მოვაო, ჰკითხეს გამვლელებმა.

— ალლაჰს თუ კუჭი არ ეტკინა, აქაც მშვენიერი ყანა გაჩნდებაო, უპასუხა მოლამ.

### სტუმრები

ერთმა კაცმა მოლა მასრადინა მეჯლისში მიიპატიჟა. მოლა დაძონძილდაკონწკილი ტანისამოსით ყველაზე ადრე მივიდა და საპატიო ალაგზე, ცეცხლის პირას ჩამოჯდა. რამდენიც ახალი სტუმარი მოვიდა, იმდენი მოლა წამოაყენეს, ადგილი დააცლევინეს და ქვემოდ დააწევინეს. ასე მოლა თანდათან სუფრის ბოლოს მოექცა. ეს დაიხსომა.

გავიდა რამდენიმე ხანი. მასრადინა მეორედ იმავე კაცმა დაიპატიჟა. მოლამ მდიდრულად ჩაიცვა და ეწვია მასპინძელს. წარმოიდგინეთ იმისი განცვიფრება: იგი დიდის თავაზით მიიღეს, მიიწვიეს და პირველს ალაგას დასვეს. ხელზე წყალიც პირველად მიართვეს. მოლამ წყალის მომტანს თავისს ძვირფასის საცმლის კალთები მიუშვირა და უთხრა:

— აი, გარეცხეთო!

— რას ბძანებთ, ბატონო, როგორ შეიძლებაო!

— თქვე სულელებო! ძველის ტანისამოსით მოველი, სუფრის ბოლოში მომაქციეთო და ახლა მე კი არ მემსახურებით და პატივსა მცემთ, ამ ჩემს ძვირფასს საცმელსაო.

### ქელეხი

გარდაიცვალა ერთი დიდებული ბეგი. ჭირისუფლებმა ქელეხში დიდ-ძალი ხალხი მიიწვიეს. შეიყარა ხალხი და ბეგის ეზოში ჩამოსხდა. ყველა დაღრეჯილია, დაღონებული. ბევრნი სტირიან. მოლა მასრადინაც ამ დროს ბეგის კარებზე მივიდა. ხალხმა იფიქრა: ეს მასხარა რასმე იტყვის, გაგვაცინებსო და სირცხვილს გვაჭმევსო. მასრადინას უთხრეს: ოღონდაც აქედგან დაბრუნდი და კომლზე თითო პინა ხორბალსა და ბრინჯს მოგცემთო.

— კარგი, წავალო და პირობა-კი შემისრულეთო.

წავიდა შინ მოლა. იფიქრა: თუ პირობა არ შემისრულეს, ხომ ქელეხსაც დავკარგავ, პურსა და ბრინჯსაცაო.

მოლამ გამოიყვანა თავისი მწევარი და აბრეშუმის მშვენიერ მოსართავით და უნაგირით შეკაზმა. აბრეშუმის ხურჯინიც გადაჰკიდა. ერთი კურდღელი სადღაც იშოვა, უბეში ჩაისო, მწევარს ლაგამი პირში ამოსდო, გასწია და წავიდა. ქელეხის ხალხი ის იყო სუფრაზე დამჯდარიყო. მოლა მარდად შევიდა ალაყაფის კარებში და თავისი რაშიც შეიყვანა. დაინახა თუ არა ხალხმა ეს მოჩვენება, დაიწყო ხარხარი. რამდენიმე კაცი მივიდა მასრადინასთან და უთხრა:

— კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ, რასა შერები!

— თქვე სულელებო, ეგრე ადვილად ვერ მომატყუებთო, უპასუხა მასრადინამ.

ვაიგო ეს ამბავი სახლის პატრონმა, ფქვილითა და ბრინჯით მასრადინას ხურჯინი გაუვსო. მასრადინამ მადლობა გადაუხადა და დაბრუნდა. ალაყაფის კარებთან რომ მიაწია, მოლამ მწევარს კურდღელი დაანახვა. შეხტა მწევარი, წკმუტუნი და ხტუნვა დაიწყო.

— აი, შენ გიჟო რაშო, რა დაგემართა, ამ მათრახს ჰხედავ! უყვირის ძაღლს მოლა. ამ დროს უბიდგან ძაღლის წინ კურდღელი გადმოახტუნა. გაიქცა კურდღელი, მწევარიც გამოეკიდა. მწევარს რომ ფქვილი ეკიდა, სულ გა...ედა.

მოლა მასრადინა-კი სდგას და იძახის:

— ერთი შეხედეთ ამ ჩემს რაშს, ბუქი და კორიანტელი არ დააყენაო!

ხალხი იცინის, კვდება სიცილითა.

### ხბო

მოლას ორი ხბო სახბორეში ება. ერთი აეშვა და გაექცა. შევიდა სახბორეში და დაბმულს ხბოს ცემა დაუწყო.

— კაცო, მაგას რათა სცემ, მაგისი რა ბრალიაო! ჰკითხეს მეზობლებმა.

— ესეც რომ აეშვას, გაქცეულზედ უფრო ჩქარა გაიქცევაო, მიუგო მოლამ.

### სახბორე

მოლას საწველი ძროხა არ გააჩნდა, მაგრამ სახბორე-კი გააკეთა. მოლას ცოლს როგორღაც მოუხდა და სახბორისკენ მუგუზალი გაისროლა. მასრადინამ ცოლს ცემა დაუწყო, — შენ ოჯახ-დაქცეულო, ხბოს ხომ თვალი გამოსთხარეო!

### ფეტვი

მოლამ ფეტვი დაითესა. ღვთის სახელზედაც ფარაქალი (წილი) დათესა. შემოვიდა ფეტვი. მომკო და გალეწა. ღვთის წილი მეტი გამოვიდა. ღვთის წილიდამ მოიპარა ფეტვი და თავის წილს დააყარა. ამ დროს იქუხა. კოკისპირული წვიმა მოვიდა და ნიაღვარმა გალეწილი ფეტვი სულ მთლად წაიღო.

— დიდო ალლაჰო, შენი სახლიც დაღუპე და ჩემიცაო! დაიძახა მასრადინამ.

### მასრადინა და არაბ-ჰაჯი

სოფლის ყრილობაა. არაბ-ჰაჯის ეუბნებიან:

— ჯამეს ყულაბი გაგიტეხნია და ფულები მოგიპარავს.

— ეგ ტყუილია, წმინდა მაჰმადის წვერსა ვფიცავ. მე სრულიად მართალი ვარ. მე და ყულაბის გატეხა? ფეილანბარმა (წინასწარმეტყველმა) მაშოროს!

— დიდება მაჰმადს! ეგრის *) ხიდზე გაიარე, ძმაო არაბ-ჰაჯი, და ეს ჯამაათი დაარწმუნე, რომ შენ უბიწო და უდანაშაულო ხარო, უთხრა არაბს მოლა მასრადინამ.

— ბატონი ბძანდებით, დასთანხმდა არაბ-ჰაჯი.

მიდიან ყველანი წყლის პირას. არაბ-ჰაჯი ლოცულობს:

— ლა ილაჰა, ილალლაჰ, მაჰმად რასულლაჰ! და ადის ხიდზე. მაგრამ, დახე ღვთის განგებას, არაბ-ჰაჯის იქვე ჩაეკეცა მუხლები და დაეცა ხიდზე. ხალხმა ქვეყნის მოღალატე მისცა ეგრის ზვირთებს.

### მასრადინა და ყადი

მასრადინას სადილად მშვენიერი ფლავი ჰქონდა, შესატანებლადაც მოხრაკული ქათამი. ჯერ ცოტა ადრე იყო და არცა შიოდა. ფლავი სუფრაზე დასტოვა, სახლი გარედგან დაჰკეტა, გასაღები იქვე ქვის ქვეშ მიმალა და წავიდა ბაზარში სასეირნოდ: ცოტას ვივლი, გავერთობი და მერე უფრო მადიანად ვისადილებო.

თურმე რამდენმამე ახალგაზდამ შორიდგან, საფარიგან დაინახა, რომ მასრადინამ გასაღები დამალა. მივიდნენ, მასრადინას სახლის კარი გააღეს, შევიდნენ შიგ, ფლავი და მოხრაკული ქათამი შესჭამეს, ფლავის დაცალიერებული სინი იქვე სუფრაზედ დასტოვეს, გამოვიდნენ, კარი ისევ დაკეტეს, გასაღებიც იქვე დამალეს და წავიდნენ თავისთვის.

ამასობაში მასრადინაც დაბრუნდა. შევიდა სახლში და განცვიფრდა. ეს ვინ ყურუმსაღმა მიხუმრა, უსათუოდ ვინმე ქურდი იზამდაო. გარედამ ხომ ვერ შემოვიდოდა, რადგან კარები დაკეტილი იყო. აქვე უნდა იყოს ფლავის ქურდიო. დაუწყო ყარაულობა. დიდხანს არ უცადა. ბზუილით მოფრინდა ერთი ბუზი და დააფრინდა ფლავის ცარიელს სინს. მიეპარა მასრადინა და დაიჭირა.

— ააა! ძმობილო, დაგიჭირე! შენ იყავი განა ჩემის ფლავის ქურდი! წამოდი სამართალში. ყადი გაგვასამართლებს ჩვენა, უთხრა ბუზს მასრა-

---

*) ალაზანს ნუხის მხრიდამ ერთვის მდინარე ეგრი. ეს მდინარე გველივით დაკლაკნილი მიდის და ძალიან მრუდეა. ხალხის გადმოცემით, ამ წყალზედ ყოფილა ხიდი, რომელზედაც თურმე ხელ-მრუდე კაცი სალსალამათიანად ვერ გაივლიდა, შიგ ჩავარდებოდა და დაირჩვებოდა. აი ამ ხიდზედ ეუბნებოდა მასრადინა არაბ-ჰაჯის.

თავისის ფეხით არ მოევლო და არ შეეგულიანებინა სოფლის მღვდელი და ერი სომეხთა ეკკლესიასთან სამრევლო სკოლა გაემართათ. სხვა ბევრი კეთილი საქმე მიუძღვის მისს ყოვლად უსამღვდელოებას. ყოველივე ეს იყო იმისი მიზეზი, რომ როცა ამბავი გავრცელდა ყოვლად სამღვდელო სამსახურს თავს ანებებსო, ტფილისის სომხობა მეტად შეწუხდა. „მშაკი“ გვაცნობებს, რომ 20-ს ამ თთვისას ტფილისის ყველა ჰამქრების უსტაბაშები მივიდნენ ვანქის ეზოში და გამოაცხადეს, რომ მის უწმინდესობის კათოლიკოზის ნახვა გვსურსო. ნება დართვის შემდეგ ხუთი წარმომადგენელი ამოირჩიეს, ესენი წარუდგნენ უმაღლესს პატრიარქ-კათოლიკოზს და პირად სთხოვეს, ნუ შეიწყნარებთ ეპისკოპოზ არისტაკესის თხოვნას და ჩვენს საყვარელს მღვდელ-მთავარს ნუ მოგვაშორებთო. კათოლიკოზმა მიიღო იმათი თხოვნა, დაარიგა ამქრები და გამოემშვიდობა ამქრების წარმომადგენლებს.

*** 21 ამ თთვისას სომეხთა კათოლიკოზი ტფილისიდგან წაბრძანდა ბაქოს.

*** „მშაკი“ გვაცნობებს შემდეგს ამბავს: საკვირაო გაზეთის გამომცემელს ბ-ნს აზგარ იოანესიანს მის უწმინდესობის სომეხთა კათოლიკოზისათვის გამოუცხადებია თავისი სურვილი, რომ მზადა ვარ დავეხმარო ეჩმიაძინის ეკკლესიის „განზანაკს“ და ფული შევკრიბოვო. დაჰპირებია, რომ ერთის წლის განმავლობაში ათი ათასს მანათს შევაგროვებო. რასაკვირველია, ბ-ნის იოანესიანის ამ გვარი მოღვაწეობა პატივსაცემია. ეს საქმე ახალი არ არის ბ-ნის იოანესიანისაგან. იმას კვლავაც გაუწევია ამ გვარი სამსახური ეჩმიაძინის ეკკლესიისა და საკათოლიკოზო ტახტისათვის.

---

## გადასინჯვა კონსტიტუციისა საფრანგეთში.

(შემდეგი.*)

### II

პირველ საქმედ საერო კრებამ გადასწყვიტა, ნაპოლეონ III ჩამოერთვას ტახტი და მეფობა და მერე ხელი მოაწერა იმ პირობას, რა პირობითაც ზავი ჩამოვარდა. ამასობაში როიალისტებმა და კლერიკალებმა ქვეშ-ქვეშობა დაიწყეს და ძირს უთხრიდნენ ახლად დაბადებულს რესპუბლიკას. საერო კრება მუშაობდა ბორდოში, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო იქ, რადგან მიყრუებული ქვეყანა იყო და, თუ კრების სამყოფელ ალაგად ამოირჩიეს, მხოლოდ იმიტომ-რომ საომარი დრო იყო, მონარქიელები მეტნი იყვნენ და არ უნდოდათ პარიჟში გადასულიყო კრება: იქ ხალხი თავისუფლებისა და რესპუბლიკის მომხრეაო, ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა ის აყალმაყალი, რომელიც გამოიწვია პარიჟის ნგრევამა და შემდეგმა ამბებმაო. ტიერის რჩევით, კრებამ გარდასწყვიტა გადასულიყო ვერსალში და 20 მარტიდამ იქ დაეწყო მუშაობა.

პარიჟი მაინც თავისას არ იშლიდა და მარტის დამდეგიდამვე არეულობა თანდათან უფრო ძლიერდებოდა. 18 მარტს Hotel de Ville-ში დამკვიდრდა ახალი სარევოლიუციო მთავრობა—უმთავრესი კომიტეტი საერო გვარდიისა. ტიერი წავიდა ვერსალში, მას გაჰყვნენ უკან მინისტრები და მხედრობა. კანონიერმა მთავრობამ მიჰმართა საერო გვარდიას და სთხოვა, თქვენც ჩვენ მოგვემხრეთ, საერო კრებას მოეკედლენითო. უმთავრესმა კომიტეტმა თავისის მხრითაც ამ გვარივე პროკლამაცია დაბეჭდა. ამ სახით პარიჟში დამკვიდრდა კომუნარების მთავრობა ვერსალის მთავრობის მეტოქედ. ვერსალის მთავრობამ ჯერ-ჯერობით მიანება თავი პარიჟს და სცდილობდა მოეგროვებინა მიფანტ-მოფანტული მხედრობა. ვერსალის მთავრობამ სცადა მშვიდობიანად მორიგებოდა პარიჟისას, მაგრამ იმისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. 22 მაისს კომუნას უკანასკნელი კრება ჰქონდა. ვერსალის ჯარებმა აიღეს პარიჟი. 28 მაისს მთავარ-სარდალმა მაკ-მაგონმა გამოსცა პროკლამაცია. მაკ-მაგონი სწერდა სხვათა შორის:

„მკვიდრნო პარიჟისანო! საფრანგეთის მხედრობა მოვიდა თქვენდა დასახსნელად. პარიჟი განთავისუფლებულია... დღეს გათავდა ბრძოლა; წესიერება და მშვიდობიანობა ნელ-ნელა მყარდება“.

აი რა მოჰყვა ამ ბრძოლას: ვერსალის მხედრობას დააკლდა 5,000 კაცი; კომუნარებს 25,000. ზოგი მათგანი დაიხოცა და ზოგი დაიჭრა. სამხედრო სასამართლოში მიცემულ იქმნა 45 ათასამდე (მათ შორის 875 დედაკაცი ერია); სხვა-და-სხვა სასჯელი მიესაჯა 10,137 კაცს.

ამ არეულობის დროს საერო კრება არას არ აკეთებდა თითქმის. როცა არეულობა მოისპო, მაშინაც იმისი ზრუნვა, სამწუხაროდ, სრულიად იმაზედ არ იყო მიმართული, რომ ქვეყნის წყლულნი დაეცხრო. ამ კრების უმრავლესობას, უფრო-ს-ერთის სურვილი სულ სხვა იყო, ვიდრე სურვილი რესპუბლიკელებისა; ამ სურვილმა უმრავლესობისამ არა ერთხელ გაუჭირა საქმე ტიერს, თუმცა ეს კაცი ძალიან სცდილობდა, რომ ზოგიერთი მოხერხებული მონარქიელი მიემხრო და რესპუბლიკის ერთგული გაეხადა დიდის ადგილის მიცემით. ასე ეფერებოდა ტიერი მონარქიელებს და მით იცავდა რესპუბლიკას, რომელსაც ქვეყანაც მხარს აძლევდა, რაიცა ცხადად გამოჩნდა საქალაქო არჩევანებზედ. ამ დროსვე კრებამ დაადგინა, რომ უფროსმა აღმასრულებელის ხელმწიფებისამ უნდა მიიღოს ტიტული საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისაო. ამავე გადაწყვეტილების სხვა მუხლის ძალით დაწესებულ იქმნა, რომ პასუხის მგებელი იყვნენ მინისტრებიცა და პრეზიდენტიცაო.

საერო კრება და უფროსი მოხელეობა ჯერ ისევ ვერსალს თავს არ anებებდნენ, თუმცა პარიჟი უკვე დამშვიდდა და ითხოვდა, რომ მთავრობას ადგილი გადმოენაცვლა. ამ გარემოებამ საკმაოდ გააძნელა საქმე შემდეგში. კრებამ გადასდო მუშაობა 18 სექტემბრისათვის. ოქტომბერში არჩევანები დაიწყო. ამ არჩევანებმა დაამტკიცა კვლავ, რომ ერს უფრო რესპუბლიკა სურდა. კლერიკალები დამარცხდნენ არჩევანებზე. შესდგა თუ არა კრება საქმეებისა, ტიერმა წაუკითხა თავისი ეპისტოლე და სთხოვა კრებას, შემოიღეთ საკონსტიტუციო წესი და რიგიო. ამასობაში კრებასა და ტიერს გამოერიათ უთანხმოება. ეს უთანხმოება, მეტადრე საეკონომიო და საფინანსო საქმეების გამო, თანდათან უფრო ძლიერდებოდა. 19 იანვარს ჩამოვარდა ლაპარაკი ბაჟის შემოღებისათვის აუცილებლად საჭირო საგნებზე. უყარეს კენჭი ამ საგანს და ტიერი უმცირესობაში მოჰყვა. ტიერმა ქაღალდი შეიტანა სამსახურიდგან გადადგომისა, მაგრამ ამ სურვილმა მალე გადაუარა და მაშინვე ისევ უკან გაიტანა დათხოვნის ქაღალდი.

გაჭირება და დაბრკოლება ბევრი იყო, მაგრამ ტიერი მაინც იმედს არა ჰკარგავდა და გულ-მოდგინედ, დაუღალავად სცდილობდა თავისი უმთავრესი სურვილი შეესრულებინა. ეს სურვილი იყო განთავისუფლება მტრისაგან საფრანგეთის მიწა-წყლისა. ტიერმა შემოიღო სამხედრო კანონები, ისესხა ფული მეტად უზომო კონტრიბუციის გადასახდელად, ხელ-ახლად დააწყო და დარაზმა ჯარი და მხედრობა, გაამაგრა პარიჟი დაააგო ახალი სიმაგრენი აღმოსავლეთს საზღვარზე. ყოველ ამას მოუნდა ტიერი და მასთან ერთად მხნე მთავრობა. ტიერის ღვაწლი დიდი იყო. სახელოვანად შესრულა მან ის დიდი საქმე, რომელიც ხედა წილად. თუმცა ლეგიტიმისტები ზედ ეკაფებოდნენ, ბონაპარტელები ორმოს უთხრიდნენ და პაპს პიო მე-IX იწვევდნენ საშველად, ტიერი მაინც თავისს გზას ადგა და მხნეობდა გამუდმებით: ტიერმა არა თუ ჯარი ალკაზმა და დარაზმა, არამედ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალიც-კი გაასწორა.

როცა კვლავ შესწყდა მუშაობა კრებისა, ტიერი პარიჟში გადმოვიდა და ელისეს სასახლეში დაბინავდა.

*) იხ. „ივერია“ № 221.

---

დინამ. მოლამ ბუზი მიიყვანა ყადთან.

— ბატონო ყადო! ესე და ესე იყო, ამ ბუზმა ფლავი და შემწვარი ქათამი შემიჭამაო. ეს ქურდი თვით ბოროტ-მოქმედების დროს შევიპყარი. ღვთის წიგნში—ყორანში ნახე, რა სასჯელი სწერია ამ გვარ ქურდისთვის და ის სასჯელი მიუსაჯე.

რომ მალე მოიშოროს სულელი, ყადმა განგებ გადაათვალიერა ყორანი და უთხრა:

— ყორანში სწერია, ბუზი უნდა გაანთავისუფლოთ, გაფრინდება და რა ადგილასაც დაჯდება, იმ ადგილას აი ამ ჩემის ჯოხით უნდა უთავაზო ერთი და ორიო (თანაც ყადმა თავისი ჯოხი მიაწოდა მასრადინას). თუ ბუზს მიარტყი, მართლაც იგი ყოფილა დამნაშავე, თუ ვერა, იგი სულ უბრალოა და უდანაშაულო.

— მაშ ეგრე გვიბრძანებს ყორანი?

— დიაღო, უთხრა ყადმა.

მასრადინამ ბუზი გაუშვა. გაიბზუილა ბუზმა, დატრიალდა ოთახში რამდენჯერმე, ბოლოს ყადს შუბლზედ დააჯდა. მასრადინამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაარტყა ბუზსა. მოხვდა ყადს ჯოხი შუბლში და თავ-გატეხილი მსაჯული უგონოდ დაეცა დედამიწაზე.

მოლა მასრადინა, მსაჯულის გარდაწყვეტილებით სრულიად დაკმაყოფილებული, არხეინად შინ წავიდა.

ყადი რომ მორჩა, უბრძანა თავისს მონას კარგა გაეტყიპნა მასრადინა. მონამაც თავისის ბატონის ბრძანება ფიცხლავ შეასრულა.

მასრადინა ისევ მივიდა მსაჯულთან.

— რა გნებავსო, შეჰკვირა გაბოროტებულმა ყადმა.

— შენმა მონამ მცემა. ვთხოვ დაკმაყოფილებასა. გადაათვალიერე ყორანი და ნახე რა სწერია შიგ ამ საქმის თაობაზე.

ყადმა ყორანი ჩაათვალიერა. მერე იხმო თავისი მონა და უბრძანა: ერთი აბაზი ჯარიმა გადაუხადეო. მონამ ამოიღო ქისიდამ აბაზი და მასრადინას მისცა. გამოართვა მოლამ და სინჯვა დაუწყო.

—ეს ხომ სამ შაურიანი ყოფილაო!—მონა-კი არწმუნებდა, აბაზიანიაო.

— აბა, ყადო! შენ გასინჯე, თუ აბაზიანიაო!

გამოართვა ყადმა და სინჯვა დაუწყო.

რა მწამს ყადმა ფული გამოართვა, მასრადინამ თავში ცემა დაუწყო.

— შენ ავაზაკო, აბა რასა შერებიო, უთხრა ყადმა მასრადინას.

— როგორ რასაო? უპასუხა მასრადინამ: შენმა მონამ ჯერ მცემა და მერე აბაზი ჯარიმა გადამიხადა. ეს ხომ შენივე სამართალი იყო. მე-კი ხომ წინდაწინვე ფული მოგეცი და ნუ თუ ნება არა მაქვს, რომ ერთი-ორი მოგითავაზოვო!..

#### ერის ყრილობამ მოლა ზღვაში ჩააგდო.

ერთხელ თანამემამულენი რაღაზედაც მასრადინას შემოსწყრნენ. შეიყარა ჯამაათი და ბჭობა დაიწყო. ზოგი ამბობდა, მოვკლათო, ზოგი ჩამოვარჩოთო, ზოგი ქვით ჩაქოლვასა და ზოგი ზღვაში ჩაგდებას რჩეობდა. ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ზღვაში ჩავაგდოთო.

შეიტყო მასრადინამ ხალხის გადაწყვეტილება და ზღვისკენ გაიქცა. ნახა ზღვის პირზედ, რომ მწყემსი ცხვრის ფარას აძოებდა,

— ღმერთმა ცხვარი გიმრავლოს, ძმაოჯან! მიაძახა მეცხვარეს მასრადინამ.

— გაცოცხლოს ღმერთმა! სად მიეშურები, მოლავ!

— ხომ ჰხედავ მთელი ხალხი მომდევს. ჩემი ხელმწიფედ დასმა ჰსურთ, მაგრამ მე არ მინდა და მსურს გავექცე, გავშორდე როგორმე.

— არ გინდა მეფობა?!

— არ მინდა და იმიტომ! ჩემი თავისთვისაც ვერ მომივლია, ამდენს ხალხს მე მარტო როგორ მოვუვლი. ეჰ, რადა გავაგძელო, მშვიდობით!

— აფსუს, რომ მე არა ვარ შენს ადგილას, უსათუოდ დავსთანხმდებოდი.

— მართლა?

— მართლა!

— თუ მაგრე რიგად გსურს მეფობა, აი ჩაიცვი ჩემი ტანისამოსი, გაიქე ზღვის პირას და იქ დადექი. ხალხი დაგეწევა, დაგიჭერს, წაგიყვანს და ხელმწიფედ დაგსვამს.

მწყემსმა გამოიცვალა ტანისამოსი და გაექანა ზღვის კიდისაკენ. მისცვივდა ხალხი და საწყალი მწყემსი ზღვაში ჩააგდო.

სამი დღის შემდეგ მასრადინამ მირეკა სამშობლო ქვეყანაში ათი-ათასი ცხვარი. სოფლელები ძლიერ შეშინდნენ, მასრადინა რომ დაინახეს. მერმე შემოეხვივნენ და ჰკითხეს: სად იშოვე ცხვარი, ან როგორ გადარჩი ცოცხალიო?

მასრადინამ დიდი მადლობა გადაუხადა ზღვაში გადაგდებისათვის.

— ეხლა-კი ვისწავლე, საცა შეიძლება ცხვრის შეძენა. ზღვის ძირში თურმე ცხვარი იმდენი ყოფილა, რომ კაცი ვერც-კი დასთვლის. ვწუხვარ, რომ მარტოკა ვიყავი და მეტის გამორეკა ვერ შევიძელ.

სოფლელები გაბრიყვდნენ. დაუჯერეს მასრადინას და მრავლობით გადაცვივდნენ ზღვაში. გავიდა დღე, კვირა, თთვე და წელიწადიც, მაგრამ არა სჩანან ზღვაში ცხვარზე წასულები. დანარჩენი სოფლელები შეიყარნენ და მასრადინას დაემუქრნენ: მოგკლავთო. მოლამ დაამშვიდა:

— თქვენი მოძმენი ხარბნი ყოფილან. იქ ბევრი ცხვარია და ყველას ერთბაშად გამორეკვა უნდათ. ალბად ვერა სწვდებიან და მშველელი-კი არა ჰყავთ.

სოფლელებმაც დაუჯერეს.

—ძმანო, შევეწიენითო! დაიძახეს და ყველანი ერთად გადაცვივდნენ ზღვაში.

#### მასრადინას სიკვდილი

ერთხელ მოლა მასრადინა შეშის მოსატანად თავისის ვირით ტყეში წავიდა. ავიდა ერთს ხეზედ და იმ ტოტზედ დაჯდა, რომელსაც ძირში სჭრიდა.

მგზავრმა დაინახა და ეუბნება მასრადინას:

— მოლავ, უსათუოდ ძირს ჩამოვარდებიო!

მოლა მასრადინამ ყური არ ათხოვა, ალბად მეხუმრებაო და ხეს ისევ ჭრა დაუწყო. მართლაც ტოტი მალე მოსტყდა და მასრადინიანად ძირს ჩამოვარდა. გაკვირვებული მასრადინა გაიქცა, დაეწია მგზავრს და უთხრა:

— ჩემი ხიდამ ჩამოვარდნა შენ იწინასწარმეტყველე და კიდეც აღსრულდა. ჩემის სიკვდილის დღეც გეცოდინება. გაფიცებ გაჩენს, მიწინასწარმეტყველე სიკვდილის დღეცა.

მგზავრს სულელის თავიდგან მოშორება უნდოდა და ხუმრობით უთხრა:

— მოკვდები მაშინ, როდესაც შენი ვირი სამჯერ დაიყროყინებსო.

უფრო გაკვირვებული მასრადინა დაბრუნდა ვირთან, აჰკიდა შეშა და შინ წავიდა.

გზა და გზა ერთი აღმართი უნდა აევლოთ. რა მწამს შეუდგნენ შეღმართს, ვირმა, ალბად საპალნე იმძიმა, ერთი დაიყროყინა.

— ეს ერთი! დაიყვირა მასრადინამ. ჩემის სულის მესამედი კიდეც გაფრინდა.

შეღმართის შუაზედ ვირმა მეორედ დაიყროყინა.

— ეს ორი! სულის მესამედი-ღა შემრჩა.

აღმართის თავს ვირმა მესამედაც დაიყროყინა.

— ესეც სამი და მე მოვკვდი! წარმოსთქვა მოლამ, გავიდა გზის პირას და დაწვა მიწაზედ. ვირიც შორი-ახლო გაჩერდა და ძოვნა დაიწყო.

ამ დროს საიდგანღაც გაჩნდნენ მგლები და ვირს მისცვივდნენ.

— ეჰ, ეჰ! წეტავი ცოცხალი ვიყო, ამბობდა მიწაზე მწოლიარე მასრადინა: მაგ მგლებს ვაჩვენებდი სეირსა! ეხლა-კი რა ვქნა! მკვდარი ვარ! როგორღა გამოვადგები ჩემს საწყალს სახედარსა. სჭამეთ, სჭამეთ, მგლებო, ევ ვირი! ღმერთმა შეგარგოთ!

ესომ

ამ დროსვე გამბეტა დადიოდა სხვა-და-სხვა დეპარტამენტში და თავისის ძლიერის ენა-მეტყველებით აყვარებდა ერს რესპუბლიკასა. მონარქიის მომხრე დასნი მაინც იმედს არა ჰკარგავდნენ და ელოდნენ, რომ მთავრობა გამოიცვლებაო. იტყოდა თუ არა ტიერი კრებაზედ, რომ რესპუბლიკა უპირველეს ყოვლისა უკვე დაარსებული მთავრობააო, მე მაზარია დავიცვა ეს მთავრობაო, მონარქიის მომხრენი ყალხზე შესდგებოდნენ და ცეცხლსა და ნავთს აყრიდნენ თავზე: არა და არაო! არას გზითაო! თქვენთვის არ ჩაუბარებიათ ეგ საქმე!.. რესპუბლიკა დროებით არისო!.. თქვენ ნება არა გაქვსთ, რესპუბლიკას გვახვევდეთ თავზეო! ამაზე ტიერი ასეთს პასუხს აძლევდა: თუ შეგიძლიანთ მონარქია კვლავ აღადგინოთ, აი, აღადგინეთ. სრული ნება გაქვსთ. თუ შესაძლებელია, მე უნდა მითხრათ ეგ. თუ გგონიათ, რომ ქვეყნისათვის უფრო სასარგებლოა მონარქია, ჩამომაგდეთ მე ტრიბუნიდამ, გამომართვით, წაიღეთ ხელმწიფება; მე დავას არ დაგიწყობთო"...

მონარქიის მომხრენი არაფითარს ღონეს არა ჰზოგავდნენ, ოღონდ-კი ტიერი გაეშავებინათ. ჰბეჭდნენ წიგნებს, მრავლად ავრცელებდნენ ხალხში დაბად და სოფლად და ამ ტყუნებდნენ ტიერსა და იმისს მინისტრებს, რევოლიუციონერებსა და კომუნარებთან იჭერენ საქმესაო!.. საბედნიეროდ, იმათ ბევრს არას უჯერებდნენ და რესპუბლიკელებიცა და ლიბერალებიც თანდათან უფრო რწმუნდებოდნენ, რომ მონარქიელებისა და კლერიკალების თავ-გასულობა უნდა აილაგმოსო. 13 ნოემბერს 1873 წელს ტიერმა წაუკითხა კრებას თავისი ეპისტოლე, რომელმაც დიდად იმოქმედა კრებაზე, მოაშორა მონარქიელები და დაუახლოვა ჭეშმარიტნი გულწრფელნი რესპუბლიკელნი, თუმცა გული ვერ მოუგო უმწვერვალესის მიმართულების მემარცხენეთა. აი რას ამბობდა ამ ეპისტოლეში ტიერი:

„რესპუბლიკა არსებობს; იგი კანონიერი მთავრობაა ქვეყნისა; სხვა რამის ნდომა რევოლიუციის ნიშანი უნდა იყოს, საშინელის რევოლიუციისა. ტყუილად ნუ დავკარგავთ დროს იმაზე, რომ ოფიციალურად გამოვაცხადოთ რესპუბლიკაო. ისა სჯობიან, რომ ისეთი სახე და თვისება მივსცეთ, რა სახე და თვისებაც სასურველია და საჭირო... ყოველი მთავრობა კონსერვატორული უნდა იყოს. ქვეყანას, ერს სიცოცხლე არ შეუძლიან, თუ არა ჰყავს მთავრობა სწორედ ისეთი, როგორსაც მე ვამბობ. რესპუბლიკა ან იქნება კონსერვატორული, ან სულ არ იქნება... იმ ორს წელიწადს, რომელიც გავატარეთ მშვიდობიანად თქვენ თვალ-წინ, თქვენის გავლენისა და ზედამხედველობის ქვეშე, შეუძლიან დაგვაიმედოს, რომ ჩვენ მოვახერხებთ დავაწესოთ ასეთი კონსერვატორული რესპუბლიკა. არ დაივიწყოთ, რომ შეუძლიან მხოლოდ დაგვაიმედოს. საკმაო მცირეოდენი შეცდომა, რომ ეს დაიმედება გაჰქრეს"...

ტიერმა ბევრი რამ დაუთმო უმრავლესობას: ერთი ადგილი მინისტრისა მისცა როიალისტს ფურტუს, მაგრამ უმრავლესობამ ეს არ იკმარა. რამდენადაც ზომიერნი რესპუბლიკელნი მადლობელნი იყვნენ ტიერისა, იმდენად რეაქციონერები ემდურებოდნენ. მაგან ჩვენ არ გვინდომაო! ეგ ამტკიცებს, რომ რესპუბლიკელი ვარ გულითაო! იმასაც-კი ცოდოდ უთვლიდნენ თითქმის, ლიბერალი რად არისო. „მოკლე ჭკუის" კაციაო. სიბერისაგან ენად არის გაკრეჭილი და ჰფქვავს წისქვილივითაო. ზოგნი მზად იყვნენ, რომ საეჭვოდ გაეხადათ იმისი მამულის შვილობაც-კი.

ბოლოს კრებამ ამოარჩია კომისიად 30 კაცი და მიანდო კონსტიტუციის შემუშავება. კომისია, იმის მაგიერ, რომ გამოეკვლია, რა ურთიერთობა უნდა დაარსებულიყო სახელმწიფოს ორგანოთა შორის, და ვის რა გვარი მოქმედება უნდა ჩაჰბარებოდა, მოჰყვა და სხვა-და-სხვა ღონეს ჰხმარობდა, რომ ტიერის გავლენა შეემუსრნა. კრებაზე დასწრების ნება არა ჰქონდეს პრეზიდენტსაო, გადასწყვიტა კომისიამ. წარმოსთქვას თუ არა სიტყვა, გაეიდეს დარბაზიდამაო. სიტყვის წარმოთქმაც თუ უნდოდეს, წინა დღითვე შეატყობინოს კრებასაო. პასუხი სიტყვისა მხოლოდ მეორე დღეს მიეცესო. ასე სასაცილოდ უნდოდათ შეეხუთნათ ტიერი.

4 მარტს 1873 წელს ტიერმა კვლავ მოაგონა კრებას: „იმპერიის დროს მე ვითხოვდი საჭირო თავისუფლებას, ახლა ვითხოვ საჭირო დაწესებულებათა... მე ვარ გულ-წრფელი, კანონიერი პრეზიდენტი, რისა?—რესპუბლიკისა. თქვენ გთხოვენ მხოლოდ რამდენსამე საჭირო დაწესებულებას, მხოლოდ რამდენისამე საჭირო კანონის შემოღებას".

8 აპრილს კრებამ კვლავ გადასდო თავისი საქმეები 19 მაისამდე. მონარქიელები ამ დროს შეერთდნენ, ხოლო როიალისტების ჟურნალ-გაზეთობამ ცხადად დაუწყო კიცხვა ტიერს. როცა კრება შესდგა, ქვეყანა აღშფოთებული იყო; ზოგს ეგონა, რომ კრება დათხოვნილ იქმნებაო. 24 მაისს 1873 წ. მონარქიელებმა მოახერხეს და დაამარცხეს ტიერი 360 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 344-სა. ტიერი მაშინვე გადადგა სამსახურიდამ. სალამოს 8 საათზე ის დაეთხოვა და 10 საათზე რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიქმნა მარშალი მაკ-მაგონი.

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბები

ედისონს გაუგზავნია თავისი ფონოგრაფი გლადსტონისათვის, რათა ნამინისტრ-პრეზიდენტალმა ამერიკის ერის მიმართ სიტყვა წარმოსთქვას, ფონოგრაფს დააბაროს და იგი სიტყვა ნიუ-იორკში იქმნება განმეორებულიო. გლადსტონი დათანხმებულა ამ წინადადებაზე.

— შარლუას თეატრი გადამწვარა.

— გიტემელდორფში ამას წინად შემდეგ რომეო-იულიასებური დრამა მომხდარა. ფარმაცევტს მანჭენს და იმისს სატრფო ქალს, ემმა დიტრიხს, თავები მოუკლავსთ. მანჭენს გაუბედვინებია ემმასათვის თავის მოკვლა. ერთს კვირა დღეს წასულან სახლიდგან და უსეირნიათ მინდვრად. ორს დღეს შემდეგ ორივეს გვამი კლდის ძირში მოუნახავსთ. ამ საყვარელ ადამიანებს ზანგით მოუწამლავსთ თავი.

— თავისს მამულში, რამსგეტს, ამას წინად გარდაცვლილა დამფუძნებელი და პატრონი გაზ. «Daily Telegraph»-ისა, 77 წლის ლევი. ეს გაზეთი 250,000 ეგზემპლიარად იბეჭდებოდა. ლევი პირველში გაჭარი იყო და მხოლოდ შემთხვევით დაიწყო ჟურნალისტობა. ამ იაფის გაზეთის დაფუძნებით ინგლისის ჟურნალისტიკას ახალი ხანა დაუდგა.

— ერთს სტატისტიკოსს გამოუანგარიშნია, რომ თუ თითოეული კაცი დღეში სამს საათს ჰლაპარაკობს, 100 სიტყვას იტყვის წუთში, რაც ერთს საათში 20 გვერდს შეადგენს წიგნისას, კვირაში 400 გვერდს და წელიწადში 52 წიგნსაო. რაც შეეხება ქალებს, ყველა ის მათი უმნიშვნელო ლაპარაკი და სიტყვების რახა-რუხი რომ აღნიშნულ იქმნას, ათასი-კი არა, ათი ათასი წიგნი შესდგებოდაო.

— ამას წინად გავრში ერთი ახირებული ლატარია გაუმართავსთ. ერთს ბალზე, რომელიც საქველ-მოქმედო აზრით ყოფილა გამართული, პირველსა და ყველასაგან მიხნეულს ლამაზს ქალს m-lle R., რომელიც ამ ბალს დასწრებია, გამოუცხადებია, რომ, თუ გნებავსთ, საქველ-მოქმედოთვე ჩემი კოცნაც ჩააგდეთ ლატარიაშიო. რაღა თქმა უნდა, რომ ეს წინადადება ერთ-ხმად მიუღიათ, დაუჭრიათ ასი ბილეთი და გამორკვეული ფასი არ დაუდვიათ: ყველა იმდენს აძლევდა თურმე, რამდენიც უნდოდა და რამდენიც შეეძლო. ვისაც 1-ლი №-რი ამოუვიდოდა, იმას თითონ ქალი ჰკოცნიდა; ვინც ისე ბედნიერი იქნებოდა, რომ მე-2 №-რი ერგებოდა, სრული ნება და უფლება ჰქონდა თითონ ეკოცნა m-lle R-სათვის, ხოლო ვისაც მე-3 №-რი — თავაზიანად უნდა მოეხვეოდა საქველ-მოქმედო. ქალს ხელზედ. დანარჩენები-კი უნდა მდგარიყვნენ და პირ-ღია ეყურებინათ ამ სეირისათვის. ამ ლატარიით გავრის ღარიბ-ღატაკების 4,000 მანათი რგებიათ. ამას გარდა იმავე სალამოს ორს მეგობარს ნიშნობა მოსვლია და თითქმის დუელში არ გამოუთხოვნიათ ერთმანეთი.

## დეპეშა

21 ოქტომბერი

პეტერბურგი. მათნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და სხვანი ავგუსტოესნი ძენი დღეს მობრძანდნენ გატჩინოს.

კრონშტადტი. კრონშტადტსა და პეტერბურგს შუა გემ-ხომალდნი აღარ დადიან.

ვერნი. გუშინ ქ. კარაკოლში გარდაიცვალა მოგზაური პრჟევალსკი. სიკვდილის წინად მომაკვდავმა ითხოვა, რომ ისსიკ-ყულის ტბის ნაპირზედ დამმარხეთო. ამის შესახებ განკარგულება უკვე მოხდენილ იქმნა.

22 ოქტომბერი

პეტერბურგი. გუშინ სალამოს მოიტანეს 14 კუბო მეფის მატარებლის უბედურებაზედ დახოცილებითურთ. მცირე პარაკლისს შემდეგ ეს კუბონი დააწყეს დროგებზე და წაიღეს ხალხით სავსე ქუჩებზე. გარდაცვლებულთ მისდევდნენ მომტირალე ნათესავები. დღეს უნდა დაასაფლავონ.

„Прав. Вѣст."-ში ახალი დაწვრილებული ცნობებია დაბეჭდილი სამეფო მატარებლის უბედურების შესახებ. უპირველეს ყოვლისა ლიანდაგს გადასცდა გზათა მინისტრის ვაგონი. მთელის მატარებლიდგან უვნებელი დარჩა მხოლოდ ორი წინა და სამი უკანა ვაგონი. ის ვაგონი, რომელიც სასადილო ოთახად იყო გაკეთებული, ისეა დამსხვრეული, რომ ადამიანი ვეღარ იცნობს: თვლები გვერდზე აქვს გატყორცნილი, კედლები პატარა ნაჭრებად ქცეულა, ხოლო სახურავი, გვერდზედ მოქცეული, ზედ აფარია ამ ნანგრევებს. იმავე ბუფეტის ვაგონში მოკლულია მოსამსახურენი. ის ვაგონი, რომელშიაც იყო დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, გარდი-გარდმო მოტრიალებულა უეცრად, წინა პირი მოჰგლეჯია და განახევრებულის ვაგონიდგან დიდი მთავრინა ფერდობზედ უსრიალია. ასევე დამართებიათ დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძესა და თავადს ობოლენსკის. მოკლულთა და დაშავებულთა ძებნის დროს ყველაფერს ხელმწიფე განაგებდა მიუხედველად იმისა, რომ ფეხი ნატკენი ჰქონდა; იმპერატრიცა ყურადღებას არ აქცევდა თავისს დაჭრილს ხელს და დაშავებულთ ჰშველოდა და ჰშემწეობდა. ამალაში ფლიგელ-ადიუტანტს შერემეტიევს მოგლეჯილი აქვს თითის ერთი ნაწილი და მკერდი დაჰჭეჭვია; ფრეილინას კუტუზოვისას ფეხი აქვს დაშავებული. დიდად ნატკენნი არიან გენერლები ვარანცოვ-დაშკოვი, ვანნოვსკი, დანილევსკი, რიხტერი და ჩერევინი. ამბობენ, რომ ეს უბედურება მოხდა გზათა მინისტრის ვაგონის დამტვრევის გამო და ეს ვაგონი-კი ან ღედამიწისა და ან დამპალ შპალების დაწევის მიზეზით უნდა დამტვრეულიყოვო. ხელმწიფე იმპერატორმა თავისის ხელით გადასცა ჟანდარმის აფიცერს ერთი ნაჭერი დამპალის შპალისა გამოძიების დროს წარსადგენად.

პეტერბურგის ბირჟა, 21 ოქტომ.

| | გარიგებულა. | გამყიდველთა. | მყიდველთა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 59 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 151 1/2 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 17 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 268 3/4 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 240 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 97 „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97 „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 81 „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ღვინობისთვე 31 დღით არის

24 დღე ორშაბათი. მოწ. არეთისა და ათანასესი. კათოლ. მთავარ-ანგელოზის რაფაელისა და ოლიმპისა. სომეხ. ანასტასიასი. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თთვისა რებიულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუადღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—37, ჩადის 4—50. მთვარე 2 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3 1/2 „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3 1/2 „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით სალამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სალამოთი, საზღვარ-არეთ, სტამბოლამდე მიდის.

გ ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ, შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან. ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## განცხადებანი

ნამდვილი საუნჯეა
ყველასთვის განთქმული წიგნი
**თავის მოვლა**
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—42)

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი
**მამიდა ასმათი**
მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის" რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинская ул. пом. Т. Д. 3 Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე